გენდერის კვლევა
(ინგლისურენოვანი, საერთაშორისო პროგრამა, ხორციელდება სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის გრანტის ფარგლებში)

1. **მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია**

გენდერის კვლევის დოქტორი

2. **პროგრამის ხელმძღვანელი**

ჯოანა რეგულსკა, რათგერსის უნივერსიტეტის პროფესორი, საერთაშორისო პროგრამების დეკანი, გენდერის კვლევისა და გეოგრაფიის დეპარტამენტი

3. **პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება**

პროგრამის მიზნები:

გენდერის კვლევის სადოქტორო პროგრამის მიზანია გენდერის კვლევის დისციპლინაში ახალი ცოდნის გენერირება, არსებული ცოდნის გაღმავება, გამოყენება და გავრცელება სწავლებისა და სამეცნიერო ნაშრომების მეშვეობით. პროგრამა მოამზადებს მაღალი დონის მკვლევრებსა და პრაქტიკოსებს გენდერის კვლევის დისციპლინაში. კურსდამთავრებულებს ექნებათ გენდერის თეორიული და ფილოსოფიური საფუძვლების გაღრმავებული ცოდნა, განავრცობენ გენდერში დამოუკიდებელი კვლევების ჩატარების და გენერირებული ინფორმაციის დამუშავების უნარებსა და ხერხებს, გამოიყენებენ გენდერულ პერსპექტივას ნებისმიერi პრობლემური ანალიზის დროს და შეეძლებათ დისციპლინის სწავლება უმაღლეს სასწავლებლებში ახალი მეთოდოლოგიების გამოყენებით.

პროგრამის ძირითადი ნაწილი ეთმობა კვლევას, მოიცავს სასწავლო კომპონენტს, და ისახავს შემდეგ ამოცანებს:

- სტუდენტთა სადოქტორო კვლევის ხელშეწყობა და განვითარება,
- საერთაშორისო ურთიერთობებში თეორიული ცოდნის გაღრმავება და სრულყოფა, ახალი ცოდნის გენერირება
- აკადემიური სწავლების/პედაგოგიკის უნარების განვითარების ხელშეწყობა.

სწავლის შედეგები:

პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების დასრულების შედეგად კურსდამთავრებულები შეიძენენ გაღრმავებულ ცოდნას გენდერის კვლევის დისციპლინაში, შეეძლებათ ახალი ცოდნის შექმნა და უკვე დაგროვილი სამეცნიერო გამოცდილების კრიტიკული ანალიზი. ექნებათ დამოუკიდებელი, მაღალი დონის კვლევის ჩატარების უნარი კვლევის სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით. პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს დაგეგმოს და განახორციელოს დამოუკიდებლად და მაღალ დონეზე აკადემიური კვლევა გენდერის სფეროში; ჩატარებული კვლევის შესახებ გამოაქვეყნოს საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ანგარიში, სამეცნიერო ნაშრომი საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში და მოახდინოს კვლევის შედეგების საჯარო პრეზენტაცია. პროგრამა აგრეთვე დოქტორანტებს განუვითარებს უნარს აკადემიური

პროგრამის, სასწავლო კურსის დამოუკიდებლად მომზადებისა და სწავლებისათვის და უმაღლეს სასწავლებელში ახალი მეთოდოლოგიების გამოყენებით პედაგოგიური სამუშაოს წარმოებისთვის.

4. **დასაქმების სფეროები**

”გენდერის კვლევის” საერთაშორისო სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ დაიკავონ აკადემიური პერსონალის თანამდებობები უმაღლეს სასწავლებლებში და წარმართონ სწავლება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სხვადასხვა აკადემიურ პროგრამაში სამივე საფეხურზე: ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში. მათ აგრეთვე შეეძლებათ იმუშაონ უნივერსიტეტში ადმინისტრაციულ თანამდებობებზე. კურსდამთავრებულებს შეეძლებათ გაწიონ გენდერის სფეროში კვალიფიციური ექსპერტის სამუშაო როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო დონეზე და იმუშაონ სამთავრობო, ან არასამთავრობო ორგანიზაციებში, დაგეგმონ და განახორციელონ მაღალი ხარისხის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევა და შეაფასონ სხვა მეცნიერების მიერ ჩატარებული კვლევები.

5. **პროგრამაზე მიღების წინაპირობები**

”გენდერის კვლევის” სადოქტორო პროგრამისთვის აპლიკანტი უნდა ფლობდეს მაგისტრის აკადემიურ ხარისხს სოციალურ მეცნიერებებში. ”გენდერის კვლევის” პროგრამისთვის პრიორიტეტულია მაგისტრის ხარისხი ”გენდერის კვლევაში”;

ინგლისური ენის ცოდნა - B2 დონე - აპლიკანტმა უნდა ჩააბაროს მისაღები გამოცდა თსუ-ს ენების ცენტრის მიერ მომზადებული ტესტის მიხედვით სოციალურ მეცნიერებათა ცენტრში, ან წარმოადგინოს ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერთიფიკატი (TOEFL IBT 82, IELTS 6.2, ან რომელიმე სხვა საერთაშორისო ტესტი).